საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/39 " 6 " მაისი 2019 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს წერილობით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ და სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე (პროგრამა - „საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობა") ითხოვა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სარგებლობაში არსებული, ქ. კასპში, სტალინის ქ. №124-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 67.01.39.001), კერძოდ, კასპის მაგისტრატი სასამართლოს შენობის მეორე სართულზე არსებული თავისუფალი ფართის, ამ ფართზე ასასვლელი კიბის უჯრედის და მასზე ნაწილობრივ დამაგრებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გადაცემა.

„სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ აღნიშნული ქმედების განხორციელება მოითხოვს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობას. ამასთან, სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ინფორმაციით, მითითებული ფართი დღეის მდგომარეობით სასამართლოს საჭიროებებს არ ემსახურება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის №302 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის" მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, მის ბალანსზე არსებული ზემოაღნიშნული ქონება სარგებლობის უფლებით გადასცეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი